ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 214

ქალაქი ქუთაისი 29 აგვისტო 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30–ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2, მე-8, მე-9, მე-14 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომან ქვაჩაკიძის 2019 წლის 1-ლი აგვისტოს წერილობითი განცხადების, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის 2019 წლის 2 აგვისტოს N493-02 წერილობითი მომართვის, ამ ფრაქციის 2019 წლის 2 აგვისტოს სხდომის N6 ოქმისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის 2019 წლის 2 აგვისტოს N493-02 წერილობთი მომართვა და ამ ფრაქციის 2019 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმი N6 წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაში პირადი განცხადებით გაერთიანდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომან ქვაჩაკიძე.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომან ქვაჩაკიძის 2019 წლის 1-ლი აგვისტოს წერილობითი განცხადება წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N15 განკარგულებაში. კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

ა. შუშანია გრიგოლ;

ბ. კლდიაშვილი ვლადიმერ;

გ. ბრეგაძე ბესიკ;

დ. ქვაჩაკიძე რომან .“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია